ახალი განთიადი

„მედგრიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

9-20 მაისი 2015 წელი №8 №8090

ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებდ, ინახავდ რეპრესიებს იცდელრიავდ, ბანაკს ვერ უძლებ ყვითელ პრესას, ქმნიან ჩვენი ცხოვრების შეფერილობებელ მეცნიერებ ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი

„ახალი განთიადი„ ეძებს ცალიერებელ ადგილებს რეპრესიებს ანგარიშებს ოფლ-მეცნიერების შენაქმნელად. ეხლანდელ მეგობრებო - ადგილები ყველა ჩვენს მეცნიერებში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებელ და ცახალებლ ოფლები!

ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები

გვ2.

უკვდავთა ბაღის ბინადარი

გვ2.

დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

გვ2.

ახალი ისტორიის ჯვალდაჯვალ ...

გვ6.

მეორე მსოფლიო ომის ლაბირინთებიდან 70 წელი გავიდა

სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენს რაიონში დღეის მდგომარეობით მხოლოდ რამდენიმე ღრმადმოხუცებული ვეტერანი ხვდება გამარჯვების 70 წლისთავს... ვინ არიან ისინი?

გვ4-5-6.

ცითრიული მაუწყებლობა

გვ3.

მკითხველის საყურადღებოდ!

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები. პასუხს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.



გვ3.

მიგვიწევს თუ ვრა ცელევიზორის გამოცვლა?

იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია

გვ2.

ნამდისქუდიანების ომი და მშვიდობა

გვ7.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი

ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები

კასპის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები გაიმართა. არჩევნებში ოთხი კანდიდატურა იყო წარმოდგენილი.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით, საკრებულოს თავმჯდომარედ მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის მეთორმეტე კლასის მოსწავლე ფლორენსია კაშხჩიანი აირჩიეს.

არჩევნებს ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების" აღმასრულებელი დირექტორი ნიკოლოზ მაღალდაძე. როგორც მან აღნიშნა, პროექტი ექვსთვიანია და ამ პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისთვის სხვადასხვა აქტივობებია დაგეგმილი.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა. მან საკრებულოს წევრებს წარმატებები უსურვა, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა და პროფესიით იურისტმა კი თანადგომა და დახმარება შესთავაზა.

უკვდავთა ბაღის ბინადარი

თბილისში, ხელოვნების სასახლეში (თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი) ჩატარდა გამოჩენილი მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის ომარ კელაპტრიშვილის გახსენების საღამო. მუზეუმის უკვდავების ბაღის ბინადრებს სალამურზე დაკვრის უბადლო შემსრულებელი შეემატა.

ყველა გამომსვლელი მუსიკოსის ნიჭსა და მიღწევებზე საუბრობდა, იხსენებდნენ მასთან გატარებულ დროს და საკონცერტო გასტროლებს.

მუზეუმის უკვდავთა ბაღში შეკრებილებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი. გამგებელმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ დიდებული დღის ჩატარებაში წვლილი შეიტანა და ნიჭიერი მუსიკოსი კიდევ ერთხელ გაიხსენა.

ომარ კელაპტრიშვილის მეუღლემ ციმი კელაპტრიშვილმა, რომელიც ღონისძიების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო, მუსიკოსის უკვდავყოფისა და დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებსა და სტუმრებს.

იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია



კასპში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია.

გზის მონაკვეთის სიგრძე 6,5 კილომეტრია, რომელიც მოიცავს სოფელ იგოეთს, მრგვალ ჭალას და დასრულდება კასპში, ე.წ. წყალსაქაჩის ხიდთან. აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. პარალელურად შეიცვლება კასპში მომავალი სასმელი წყლის მაგისტრალი, რომელზეც მთავრობამ 1 900 000 ლარი გამოყო.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ზიმო". ხელშეკრულებით, იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია, მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

22 აპრილს კასპის მუნიციპალიტეტში დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა,,CENN,,ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს.

კასპის კულტურის ცენტრის შენობის წინ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლეთა სახლთან არსებულმა ხატვის წრის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ასფალტზე ხატვის კონკურსში გავუფრთხილდეთ დედამიწას.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა ხატვის კონკურსის ყველა მონაწილე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სიგელით დააჯილდოვა, ხოლო ,,CENN,,-ის კოორდინატორმა კასპში ირმა კიტრიაშვილმა, ასევე გადასცა სიგელები და საჩუქრები.

აქციის მონაწილეები ხატვის კონკურსის შემდეგ ქალაქის ახლად გახსნილ სკვერისკენ გაემართნენ, სადაც აქციის მონაწილეებს მწვანე ნარგავებისათვის ორმოები უკვე გამზადებული ჰქონდათ. მწვანე ნარგავები დარგეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, ,,CENN,, -ის კოორდინატორმა კასპში ირმა კიტრიაშვილმა, საკრებულოს დეპუტატმა ხათუნა თათანაშვილმა, მოქალაქეებმა და აქციის პატარა მონაწილეებმა.

აქცია მწვანე ბუშტების ჰაერში გაშვებით დასრულდა, რითიც პატარებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს დედამიწის გაფრთხილება, მწვანე და სუფთა გარემოში ცხოვრება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი "ახალი გზა"

მოგვიწევს თუ არა ტელევიზორის გამოცვლა?

„ახალი განთიადის„ მკითხველთა კითხვებს პასუხობს ციფრული მაუწყებლობის საგანგებო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეთერ მონასელიძე.

მკითხველის საყურადღებოდ! ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები. პასუხს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.

- რატომ გადავდივართ ციფრულ მაუწყებლობაზე?

- სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიოს აჩვენა, რომ არსებობდა სიხშირული რესურსის გამოყენების უფრო ეფექტიანი შესაძლებლობები, სწორედ ამიტომ, დღეს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა ანალოგურის ნაცვლად ციფრული მაუწყებლობით სარგებლობს. ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულების (GE-06) ფარგლებში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის - საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, (რომელიც არეგულირებს ციფრული და ანალოგური მაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიო-სიხშირული რესურსის გამოყენების ნორმებს, ვადებს და კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

- რა ღირს „სეთ-თოფ ბოქსი"?

- სეთ-თოფ ბოქსის ფასს არეგულირებს ბაზარი. სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში იყიდება სხვადასხვა ფუნქციონალის მქონე ციფრული სიგნალის მიმღები აპარატურა, შესაბამისად, ფასებიც განსხვავებულია. დღეს არსებული ინფორმაციით, სეთ-თოფ ბოქსის საცალო ფასი 40- დან 120 ლარამდე მერყეობს.

- გამოგვადგება თუ არა თანამგზავრული თეფში ან რისივერი?

- თანამგზავრული თეფში ან რისივერი არ გამოგადგებათ. თქვენ დაგჭირდებათ-DVB-T2 სტანდარტის ციფრული სიგნალის მიმღები რისივერი (სეთ-თოფ ბოქსი) და სახლის სახურავზე დამონტაჟებული ანტენა (იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენება).

- მოგვიწევს თუ არა ტელევიზორის გამოცვლა?

- ტელევიზორების გამოცვლა არ მოუწევთ იმ მომხმარებლებს, რომელთა ტელევიზორებს უერთდება აუდიო-ვიდეო (RCA) კაბელი.

- ტექნიკურად რამდენად შესაძლებელია, რომ საეთერო ციფრული და საკაბელო ტელევიზია ერთდროულად მიეწოდებოდეს მომხმარებელს ერთ ტელევიზორში.

- ზოგადად ეს შესაძლებელია. ამ ორი სიგნალის შესაკრებად საჭიროა სატელევიზიო სიგნალის სპლიტერი/კომბაინერი, (ანუ გამყოფი/შემკრები) აღნიშნული მოწყობილობის შეძენა შესაძლებელია შესაბამისი პროფილის მაღაზიებში. საკაბელო ტელევიზიის კაბელი უნდა მიუერთდეს სპლიტერის ერთ რომელიმე შესასვლელს, ანტენიდან გამომავალი კაბელი კი მეორე შესასვლელს. სპლიტერის გამოსასვლელი მიუერთდება ტელევიზორის საანტენო შესასვლელს.

- როგორია ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ვადები და ეტაპები?

- საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) პირველი რეგიონისათვის (სადაცსაქართველოსთან ერთად შედის ევროპა, აფრიკა და აზიის დიდი ნაწილი) - 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ვადად; მოცემული გულისხმობს, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ ქვეყნების ფარგლებში მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები აღარ იქნება სამართლებრივად დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან წარმოქმნილი ხელშეშლებისგან. 17 მარტიდან 17 ივნისამდე, პარალელური მაუწყებლობის რეჟიმში, სატელევიზიო გადაცემები ანალოგური და ციფრული სიგნალების მეშვეობით გავრცელდება. აღნიშნულ პერიოდში თქვენ უკვე შეგიძლიათ ისარგებლოთ „სეთ-თოფ ბოქსებით."

- შეიძლება თუ არა საკაბელო და ციფრული მაუწყებლობა ერთდროულად მივიღოთ?

- შეიძლება, თუ

რეფორმის პროცესში სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„სეთ-თოფბოქსი" ორივე ტექნოლოგიურ პლატფორმასთან თავსებადია.

- რა ტიპის კაბელი დაგვჭირდება ციფრული ტელევიზიისათვის და გამოგვადგება თუ არა ძველი კოაქსიალური (სპილენძის) სატელევიზიო კაბელი?

- ციფრული სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ: სტანდარტული 75 ომი ტალღური წინაღობის მქონე კოაქ-

უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო „სეთ-თოფ ბოქსი„-ს მონტაჟს?

სიალური (ე.წ. „სატელევიზიო კაბელი") და RCA შემაერთებელი კაბელები. ანტენიდან შემომავალი კოაქსიალური კაბელი უერთდება სეთ-თოფ ბოქსს, თავად სეთ-თოფ ბოქსი კი ტელევიზორს უკავშირდება RCA შემაერთებელი კაბელით. თუკი თქვენ გაქვთ თანამედროვე ტელევიზორი, მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც RCA ასევე NDMI შემაერთებელი კაბელიც.

- ზოგიერთი მომხმარებლის ტელევიზორს აქვს ციფრული სიგნალის მიმღები, მაგრამ ვერ უთითებენ ქვეყანას - საქართველოს. რა შეიძლება ვურჩიოთ ასეთ მომხმარებლებს?

- მენიუში ქვეყნის მითითება საჭიროა იმისთვის, რომ ავტომატურად მოხდეს რამდენიმე ტექნიკური პარამეტრის მინიჭება. ყველაზე მარტივი მეთოდია ავირჩიოთ ის ქვეყანა, რომელიც იყენებს მსგავს პარამეტრებს, მაგალითად რუსეთი. თუმცა, შესაძლებელია საერთოდ არ მიეთითოს ქვეყანა და მოგვიანებით ცალკე იქნას გაწერილი პარამეტრები.

- რამდენად უსაფრთხოა სახელმწიფოს მიერ შესყიდული სეთ-თოფ ბოქსები?

- სახელმწიფოს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისთვის სახელმწიფო „სეთ-თოფ ბოქსები„-ს საცხოვრებელ ადგილზე მიტანას უზრუნველყოფს.

მიერ შესყიდულ საქონელს თან ახლავს RoHS და CE სერთიფიკატები იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მიერ დადგენილ მომხმარებელთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს.

- რატომ არ არის დაგეგმილი საეთერო ქსელი სახლის ანტენების მიღების პირობებში?

- ამგვარი დაგეგმარება გამოიწვევს ქსელის მშენებლობის ხარჯის გაზრდას, როგორც სახელმწიფოსთვის ასევე ინვესტორებისთვის. პირველი ეტაპისათვის ამგვარი ხარჯის გაწევა არ არის მიზანშეწონილი. დროთა განმავლობაში ქსელი ისედაც განიცდის მოდერნიზაციას და გაფართოებას, თუმცა, იშვიათ შემთხვევაში, ციფრული სიგნალის მიღება შესაძლებელი იქნება სახლის ანტენითაც.

- რა არის სეთ-თოფ ბოქსი და სად შევიძინოთ?

- ციფრული სიგნალის მისაღებად დაგჭირდებათ სპეციალურიაღჭურვილობა - სეთ-თოფ ბოქსი, რომელიც თქვენს ტელევიზორს ანტენიდან შემოსულ სტანდარტულ ან მაღალი გარჩევადობის სიგნალს მიაწვდის. სეთ-თოფ ბოქსის შეძენა შესაძლებელია სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებში.

- რომელი ანტენით უნდა მივიღოთ ციფრული სიგნალი?

- ციფრული სატელევიზიო სიგნალი შეიძლება იმავე ანტენით მივიღოთ, რომლითაც ვსარგებლობდით ანალოგური სიგნალის მიღებისას. ეს შეიძლება იყოს შენობის სახურავზე დამონტაჟებული სატელევიზიო გადამცემისკენ მიმართული ანტენა დიაპაზონით 174-230 მჰც სიხშირეები VHF სიხშირულ ზოლში და 470-694 მჰც სიხშირეები UNF სიხშირულ ზოლში. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია სახლის ანტენის გამოყენებაც.

- ვის ეხება აღნიშნული პროცესი?

- რეფორმა თანაბრად ეხება ყველა ოჯახს, გამონაკლისს მხოლოდ საკაბელო, თანამგზავრული და ინტერნეტ ტელევიზიების მომხმარებლები წარმოადგენენ.

- რით განსხვავდება სტანდარტული გარჩევადობის პროგრამა მაღალი გარჩევადობის პროგრამისგან?

- სტანდარტული გარჩევადობის პროგრამის საშუალო სიჩქარე 2.16 მბ/წმ-შია, ხოლო მაღალი გარჩევადობის პროგრამის სიჩქარე 5-დან 8 მბ/წმ-მდეა, იმის მიხედვით თუ,რა ტიპის პროგრამა გადაიცემა. ჩვეულებრივად, მაღალი გარჩევადობის სპორტული პროგრამების ტრანსლირებისას უფრო მაღალი სიჩქარეები გამოიყენება.

- რომელი პროგრამების ყურებას შევძლებთ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ?

- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ შეძლებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პროგრამის, მათ შორის - პირველი და მეორე არხების და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურებას, ხოლო კომერციული ოპერატორი გადასცემს არსებულ ყველა ღია საეთერო, ეროვნულ პროგრამას, მათ შორის "რუსთავი 2"-ს, "იმედს," "პირველსტერეოს" და სხვას.

- ვარ სოციალურად დაუცველი, მეკუთვნის თუ არა შეღავათი?

- რეფორმის პროცესში სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირება მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით 70 000 და ნაკლებია, მთავრობამ მათთვის სერთიფიცირებული „სეთ-თოფ ბოქსები" შეისყიდა. აპარატურა ხელმისაწვდომი იქნება არაუგვიანეს მიმდინარე წლის მეორე კვარტლისა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისთვის კი სახელმწიფო სეთ-თოფ ბოქსების საცხოვრებელ ადგილზე მიტანას უზრუნველყოფს.

- როგორ მივიღოთ სეთ-თოფბოქსი ?

- შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, სოციალურად დაუცველმა პირებმა მიაკითხეთ საქართველოს ფოსტის რაიონულ სერვის ცენტრებს და პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღეთ კუთვნილი „სეთ-თოფბოქსი."

მკითხველის საყურადღებოდ! ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო კითხვები. პასუხს შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ომის დამთავრებიდან 70 წელი გავიდა

9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ისტორიულ თარიღს, რომელსაც თითქმის ნახევარი დედამიწა აღნიშნავს, იკრიბებიან მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი და არა მხოლოდ ისინი... ომგადახდილები კიდევ ერთხელ იხსენებენ ქარცეცხლიან დღეებს, პატივს მიაგებენ თანამებრძოლებს, მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლე მიიტანა გამარჯვების სამსხვერპლოზე...

მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში განსაკუთრებულია ქართველთა წვლილი და დამსახურება. 165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათ შორის კასპის რაიონიდან არიან სამამულო ომის გმირები: სურენ ასლამაზიშვილი, გიორგი თვაური, ივანე იშჩენკო. 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ ორდენებითა და მედლებით. საქართველოს 333 344 მშრომელი დაჯილდოვდა მედლით მამაცური შრომისათვის 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში, 46 191 მშრომელი კი — მედლით კავკასიის დაცვისათვის.

დიდ სამამულო ომში კასპის რაიონიდან მონაწილეობდა 6 ათას 428 მებრძოლი, რომელთაგან ნახევარზე მეტი ომიდან აღარ დაბრუნებულა.

სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენს რაიონში დღეის მდგომარეობით მხოლოდ რამდენიმე ღრმადმოხუცებული ვეტერანი ხვდება გამარჯვების 70

წლისთავს... ჩვენ ყოველ მათგანთან ვცადეთ დაკავშირება.

სახელოვან ვეტერანებს, პატივსაცემ ადამიანებს გაწეული ამაგისა და გმირობისათვის ქედს ვუხრით და გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ... ვულოცავთ 9 მაისის დღესასწაულს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გრიგოლ ბაინდურაშვილი

უხუცესი ვეტერანი, კასპელი გრიგოლ ბაინდურაშვილი ჰოლანდიას მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. დიახ, იგი გახლავთ ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე მომხდარი აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე...

გერმანელთა ტყვეობაში მოხვედრილმა ქართველმა მებრძოლებმა თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადეს დამპყრობლებს. აჯანყებულებს ერთგულება, არნახული დახმარება გაუწიეს ტექსელზე მცხოვრებმა ოჯახებმა, ისინი სურსათ-სანოვაგითა და იარაღით ამარაგებდნენ მებრძოლებს, ბევრის სიცოცხლე იხსნეს. აჯანყებულების მხარდამჭერთა შორის იყო ჰოლანდიელი ქალბატონი კორნელია, რომელმაც ღვიძლი შვილივით მიიღო კასპელი ჯარისკაცი, ოჯახში შეიფარა, ყველანაირი დახმარება აღმოუჩინა, ამის გამო მას დედა კორნელია შეარქვეს ქართველმა მებრძოლებმა...

ომის დამთავრებიდან 70 წელი გავიდა, გრიშა ბაინდურაშვილს დღესაც ახლო ურთიერთობა აქვს დედა კორნელიას ოჯახთან, მის შთამომავლებთან, წლების წინ კასპშიც მოიპატიჟა ისინი, გულითადად უმასპინძლა, გააცნო საქართველო.

— ბოლოს, ათი წლის წინ, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლის იუბილეზე ვიყავი ჰოლანდიაში, — იხსენებს გრიშა ბაინდურაშვილი, — საქართველოდან წასულ დელეგაციას, რომელსაც ამშვენებდა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი ილია მეორე, მეც ვახლდი ჩემს მეუღლესთან ერთად. ამას ვერასოდეს დავივიწყებ, კიდევ ერთხელ მოვინახულე ტექსელის ძმათა სასაფლაო, გრანდიოზული შეხვედრა მოგვიწყეს ჰოლანდიელებმა, დავათვალიერეთ ტექსელის აჯანყების მუზეუმი, მისმა უწმინდესობამ, ილია მეორემ ძმათა სასაფლაოზე წირვალოცვა აღავლინა, ემოციებით, შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდით.

გასახსენებელი და მოსაგონარი გრიშა ბაინდურაშვილს კიდევ ძალიან ბევრი აქვს. ამას კი თავის მეგობრებთან ახერხებს, ხშირად სტუმრობენ ფრონტელი მეგობრების ოჯახის წევრები და ახლობლები, ასე იქნება ახლაც, გამარჯვების დღეს, 9 მაისს.

კონსტანტინე ჩხარტიშვილი

კინოში ნანახი თუ წიგნებში წაკითხული გმირების სათავგადასავლო ისტორია თაობებს ასაზრდოებს... გახსოვთ, ალბათ, დაჭრილი შვილის სანახავად ომში წასული კახელი გიორგი მახარაშვილი (რეჟისორ რეზო ჩხეიძის "ჯარისკაცის მამა"), რომელიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო, ყველას ჯარისკაცის მამა გახდა. არადა, მამა-შვილის ამდაგვარი ფრონტული თავგადასავალი, სევდიანი, ამავე დროს შთამაგონებელი ისტორია ჩვენს პატარა ქალაქში, კასპშიც მოხდა...

როდესაც ომი დაიწყო, კასპის რაიონის იმჟამინდელი სამხედრო კომისარი კონსტანტინე ჩხარტიშვილი ბრძოლის დაწყების პირველსავე დღეებში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. თუმცა, მას ზურგშიც უამრავი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ შინ დარჩენაზე არც კი უფიქრია.

ქერჩში იბრძოდა კონსტანტინე ჩხარტიშვილი. მის ოჯახში დღესაც სათუთად ინახება ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებითაც იგი ანუგეშებდა, ამხნევებდა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, ნათესავებს, ერთ-ერთ წერილში იგი წერს: "შინ დაბრუნება კარგია, მაგრამ სამშობლოს ახლა ყველაზე მეტად ვჭირდები, ვიცი, რომ თქვენ გამიგებთ, სამშობლოს ვერ ვუღალატებ". მოგვიანებით, მის სანახავად ქერჩში საქართველოდან მისი მეუღლე ქალბატონი ნინა ღლონტი გაემგზავრა, თან უფროსი ვაჟი, ნოდარიც გაიყოლა და მოხდა ყოვლად წარმოუდგენელი რამ, 14 წლის ნოდარ ჩხარტიშვილი დედას შინ აღარ გამოჰყვა, მამასთან დარჩა და ჯარისკაცის ფარაჯაც მოირგო, არა მარტო მამის, სხვა მებრძოლების იმედად და ნუგეშად იქცა. ნოდარმა ერთი წელი გაატარა მამასთან...

მერე კი, ქერჩში, გმირულად დაღუპული მამის ამბავი ვერ გაუმხილეს შვილს, ის კიარა, კონსტანტინე ჩხარტიშვილის გარდაცვალების ცნობა მას გამოატანეს საქართველოში კომისარიატში წარსადგენად.

მამა-შვილის, ჩხარტიშვილების ამბავი ლეგენდასავით გავრცელდა, მტერმოყვარემ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ სწორედ ასეთი ადამიანების სიმამაცესა და თავგანწირვას, რწმენას შეუძლია სამშობლოს გადარჩენა.

ილია ილურიძე

სამი წელი გაატარა ფრონტზე კასპელმა ილია ილურიძემ.



ომში წასვლამდე მან თბილისში, სნაიპერთა მომზადების სკოლა გაიარა.

ორჯონიკიძეში ერთ-ერთი საბრძოლო შეტაკების დროს მძიმედ დაჭრილი ილია ილურიძე დიდი ხნის მკურნალობის შემდეგაც ველარ დაუბრუნდა ფრონტის წინა ხაზს...

შინ დაბრუნებული ყოფილი სნაიპერი ჯერ ცემენტის ქარხანაში მუშაობდა, მოგვიანებით, ადგილმრეწველობის კომბინატშიც დაჰყო რამდენიმე წელი.

ბოლოს, საკონსერვო ქარხანაშიც მუშაობდა. დამსახურებულ პენსიაზე ზეიმით გააცილეს უახლოესმა მეგობრებმა, თანამშრომლებმა და ახლობლებმა, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, ორდენები და მედლები.

მიხეილ ქათამაშვილი



ქვემოხანდაკელი მიხეილ ქათამაშვილი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტზე.

გმირულად იბრძოდა სტალინგრადის მისადგომებთან, 1943 წლის 15 იანვარს მძიმედ დაიჭრა, მკურნალობდა ურალში. ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

90 წელს გადაცილებული ვეტერანი სოფელში შვილებთან და შვილიშვილებთან ცხოვრობს და ჯარისკაცური სიამაყით ხვდება გამარჯვების 70 წლისთავს.

ლევან ყარანაშვილი

1943 წელს გაიწვიეს დიდ სამამულო ომში ქვემოჭალელი ლევან ყარანაშვილი.

ლევან ყარანაშვილი იბრძოდა დნეპრში, ორჯერ არის მძიმედ დაჭრილი, ომის დამთავრების შემდეგ ათი წელი იმუშავა ციმბირში, სადაც სამხედრო ტყვეებს დარაჯობდნენ.

სამშობლოში 1953 წელს დაბრუნდა, ომგამოვლილი, მეორე ჯგუფის ინვალიდი ვეტერანი ლევან ყარანაშვილი კოლმეურნეობაში კეთილსინდისიერად შრომობდა, აქვს ღირსეული ოჯახი, შვილებთან, შვილიშვილებთან თავს კარგად გრძნობს.



შალვა გოჩიტაშვილი



გარიყულელი ომის ვეტერანი შალვა გოჩიტაშვილი 1943 წელს წავიდა ფრონტზე და ომის დამთავრებამდე პირნათლად იხდიდა მხედრულ ვალს. იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, იცავდა ლენინგრადს.

1944 წელს, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისას მძიმედ დაჭრილი შალვა გოჩიტაშვილი სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს...

ომის დამთავრების შემდეგ, შინ დაბრუნებული მალევე ჩაება შრომის ფერხულში, მუშაობდა ახალქალაქის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში.

წლების განმავლობაში იყო ერთაწმინდის კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი, პენსიაში გასვლამდე, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მეტეხის საშენ-მასალათა კომბინატის საამქროს უფროსად.

ომისა და შრომის ვეტერანს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, საბრძოლო დამსახურების ორდენები და მედლები.

იოსებ ისერგიშვილი

ქვემოჭალელი იოსებ ისერგიშვილი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში, იბრძოდა ნოვოროსიისკში, ბრძოლის ველზე მძიმედ დაჭრილი დიდხანს მკურნალობდა სამხედრო ჰოსპიტალში.

ომში მიღებული ჭრილობების გამო ხელს ახლაც ვერ ხმარობს.

მეორე ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა სამშობლოში 1945 წელს.

წლების განმავლობაში იოსებ ისერგიშვილი კოლმეურნეობაში დარაჯად მუშაობდა,

ამჟამად ცხოვრობს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.



გაბრიელ ქვრივიშვილი

ზემოხანდაკელი გაბრიელ ქვრივიშვილი ოცი წლის იყო, სამამულო ომი რომ დაიწყო.

1941 წელს გაიწვიეს ფრონტზე, იბრძოდა ქერჩში.

1942 წელს ტყვედ ჩავარდა, უკრაინაში, ტყვეთა ბანაკში, სხვებთან ერთად მას ბენზინის მტვირთავად ამუშავებდნენ.

1944 წელს მოხვდა საფრანგეთში, ხოლო შემდეგ ამერიკელებმა სხვა ტყვეებთან ერთად გაბრიელ ქვრივიშვილი ოდესაში დააბრუნეს, იქიდან ბაქოში გადაიყვანეს, ერთი წელი იქ მუშაობდა.

ომის დამთავრების შემდეგ თურქმენეთში გადაასახლეს...

გადასახლებიდან 1954 წელს დაბრუნდა სამშობლოში.



ზაქარია ღუნაშვილი

ოკმელი ომის ვეტერანი, ზაქარია ღუნაშვილი 1943 წლის იანვარში გაიწვიეს ფრონტზე.

იბრძოდა კავკასიის დაცვისათვის გამართულ ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში.

ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მიღებული აქვს ორდენები და მედლები, საპატიო ჯილდოები.

ომიდან დაბრუნებული ზაქარია ღუნაშვილი 45 წლის განმავლობაში თავდადებით შრომობდა ოკმის საკოლმეურნეო მინდვრებში.



ფეოდორ მელაძე

ქვემო რენეში მცხოვრები, ომისა და შრომის ვეტერანი, 1921 წელს დაბადებული ფეოდორ მელაძე მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს 1942 წლის მარტში.

მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში, ჯერ ქვეით ჯარში იბრძოდა, შემდეგ იყო დაზვერვაში. სევასტოპოლის დაცვის ბრძოლებში, 1943 წელს ფეოდორ მელაძემ მძიმე ჭრილობები მიიღო, რის გამოც დაინვალიდდა და დემობილიზებული იქნა ფრონტიდან.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ფეოდორ მელაძე საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

მეტეხელ ომის ვეტერანს ოთარ აზამაიფარაშვილს ახლახან 90 წელი შეუსრულდა, ომგამოვლილი კაცი ავტორიტეტით, პატივისცემით სარგებლობს სოფელში. ისიც იციან, რომ მას სამშობლოს დასაცავად თავი არ დაუზოგავს. ოთარ აზამაიფარაშვილი 1943 წლის 19 იანვარს გაიწვიეს კადრში, მსახურობდა უკრაინის მესამე ფრონტის 35-ე დივიზიაში.

ოთარ აზმაიფარაშვილი

დნეპროპეტროვსკის ოლქის (მაისევკა-გრებოვკის) დასახლებული პუნქტის განთავისუფლების დროს მძიმედ დაჭრილი ქართველი მებრძოლი ოთარ აზმაიფარაშვილი 103 დღე იწვა სამხედრო ჰოსპიტალში. სახელოვან მებრძოლს, ომისა და შრომის ვეტერანს მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ივანე ქოსაშვილი

ქვემოგომელი ივანე ქოსაშვილი 1941 წლის გაზაფხულზე გაიწვიეს ჯარში, პირველი საბრძოლო ნათლობა მან უკრაინაში მიიღო. 1941 წლის ივნისში, როდესაც ფაშისტთა საავიაციო ნაწილები ბომბავდნენ უკრაინის დედაქალაქს მისი სამხედრო ნაწილი / მსროლელთა მე-40 პოლკი/ თავგანწირვით იცავდა კიევის მისადგომებს. ივანე ქოსაშვილი ორჯერ დაიჭრა ფრონტზე, ყუმბარის ნამსხვრევებს დღესაც ატარებს, ვინაიდან ექიმებმა არ ურჩიეს მისი ამოღება.

სამამულო ომის დასრულების შემდეგ იგი იაპონელების წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებშიც მონაწილეობდა. ომიდან დაბრუნებული ივანე ქოსაშვილი ახლა შრომის ფერხულში ჩაება, ოთხი ათეული წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად შრომობდა ცემენტის ქარხანაში. მას იცნობენ, როგორც საუკეთესო მეოჯახეს, კარგი შვილების აღმზრდელ მამას.

პავლე ჭეჭელაშვილი

ხანდაზმულ ვეტერანს, ახალქალაქელ პავლე ჭეჭელაშვილს საინტერესო მხედრული და შრომითი ბიოგრაფია აქვს. იგი იყო ტანკისტი, ოფიცერი. ჯარში გაიწვიეს 1939 წელს. მოსკოვში იხდიდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ომის დაწყებისთანავე ერთ-ერთი პირველი ჩადგა მოსკოვის დამცველთა რიგებში, მოსკოვის დაცვის დროს დაიჭრა, გამოჯანმრთელებისთანავე იგი გააგზავნეს სატანკო სკოლაში სასწავლებლად... გამარჯვების დღეს 9 მაისს პავლე ჭეჭელაშვილი ლიტვაში შეხვდა, ომიდან დაბრუნებული ჯერ კოლმეურნეობაში მუშაობდა, 1947 წელს მან გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა მისალები გამოცდები და წლების განმავლობაში ახალქალაქის საშუალო სკოლაში ისტორიას ასწავლიდა.



გიორგი ნავროზაშვილი

გმირი ქალაქის სევასტოპოლის დამცველი, ახალქალაქელი გიორგი ნავროზაშვილი ყოველთვის ამაყობდა თავისი წარსულით. 1942 წელს გაიწვიეს ომში, 1943 წელს იგი დაიჭრა ქალაქ ბოზოკში. 1945 წლის დასაწყისში გიორგი ნავროზაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. მას შემდეგ მოყოლებული, პენსიაში გასვლამდე სულ შრომაშია, თავს დასტრიალებდა ახალქალაქის ბაღ-ვენახებს, ბოლოს მეურნეობის დირექტორიც იყო. აქვს დიდი ოჯახი, მისი სიმდიდრე შვილები და შვილიშვილები არიან.

დავით ირემაშვილი

სოფელ იდლეთში მცხოვრები, 1924 წელს დაბადებული დავით ირემაშვილი ომის დაწყების მეორე წელს გაიწვიეს ფრონტზე. მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის წარმოებულ ფართომასშტაბიან ბრძოლებში, იბრძოდა ირანის საზღვართან, ლენინაკანში, ერევნის 45-ე არმიაში, გმირულად იცავდა კავკასიის საზღვრებს. 9 მაისს გამარჯვების დღეს დავით ირემაშვილი უკრაინაში შეხვდა, იგი ამ დროს ხარკოვის მისადგომებთან იბრძოდა. 1946 წლის აპრილში დაბრუნდა სამშობლოში. ომისა და შრომის ვეტერანს დავით ირემაშვილს დამსახურებისათვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

გიორგი ბითაძე

1942 წელს გაიწვიეს ომში ხოვლელი გიორგი ბითაძე. იბრძოდა ქალაქ ვორონეჟის ფრონტზე, სადაც ფეხში დაიჭრა, ამის გამო მას ამპუტირებული აქვს მარჯვენა ფეხის ოთხი თითი, დიდხანს მკურნალობდა ქალაქ ომსკის სამხედრო ჰოსპიტალში.

სამშობლოში დაბრუნდა 1943 წლის მარტში. ომის ინვალიდი გიორგი ბითაძე წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად შრომობდა ხოვლის კოლმეურნეობაში.

შიო ბიჭიკაშვილი

ომის დაწყების მეორე წელს ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში ხოვლელი შიო ბიჭიკაშვილი, იბრძოდა ქერჩში.

ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს სამამულო ომის ორდენები და მედლები. 1946 წელს დაბრუნდა სამშობლოში, მას შემდეგ პენსიაში გასვლამდე შრომობდა საკოლმეურნეო მინდვრებში.

ფრიდონ კვესიაშვილი



ნოვოროსიისკის დაცვის დროს მძიმედ დაჭრილი კასპელი ფრიდონ კვესიაშვილი საქართველოში, ბორჯომის სამხედრო ჰოსპიტალში ოთხი თვე მკურნალობდა, სამწუხაროდ ცალი თვალი დაკარგა და ამის გამო ფრონტს გამოეთიშა. ფეხზეც ჰქონდა ნაიარევი, მაგრამ ყველაზე მეტად თვალის დაკარგვაზე წუხდა. შინ დაბრუნებულ ფრიდონ კვესიაშვილს ერთი დღეც კი არ გაუტარებია უქმად. პირველი ჯგუფის ინვალიდი, ნაომარი კაცი მეცემენტეთა რიგებში ჩადგა. წლების განმავლობაში იგი კირქვის კარიერში მუშაობდა, პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. – ყოველ წელს, როგორც კი მოახლოვდება 9 მაისი, პაპას განსაკუთრებული ხალისი, ერთგვარი შემართება ეუფლება, – ამბობს მისი შვილიშვილი დავით კვესიაშვილი, – მართალია, ბოლო ხანს ცოტა მეხსიერება ღალატობს, მაგრამ გამარჯვების დღე არ ავიწყდება, იცის, რომ 9 მაისის ზეიმზე მიიპატიჟებენ და ძველ მეგობრებს შეხვდება.

დიმიტრი ზადიშვილი



ასწელს მიღწეული, ზადიანთკარში მცხოვრები ომის ვეტერანი, მრავალჭირვარამ გამოვლილი დიმიტრი ზადიშვილი ისე მხნედ და ომახიანად გამოიყურება, რომ მისგან ხალისი, დადებითი განწყობა იგრძნობა. 1941 წელს წავიდა ომში, აზერბაიჯანის ქალაქ ლენქორანში გაიარა სამხედრო მომზადება. ლენქორანიდან ირანში გადაიყვანეს, სადაც ორი თვე დაჰყო, ირანიდან მისი დივიზია გადმოიყვანეს ჯერ სოხუმში, შემდეგ სოჭში, იბრძოდა "კრასნაია პალიანაზე" ყუბანის მიმართულებით. სწორედ ამ ბრძოლაში დაიჭრა მძიმედ დიმიტრი ზადიშვილი, თან ტყვედ ჩავარდა, მის ოჯახში ორჯერ მოვიდა დეპეშა, რომელიც მის სიკვდილს იუწყებოდა... ტყვეობიდან მოახერხა თავის დაღწევა, გამოიქცა, შეუერთდა პარტიზანებს, მოგვიანებით წითელი არმიის ნაწილებს.

დიმიტრი ზადიშვილმა ბრძოლით გაიარა რუმინეთი, კარპატების მთიანეთამდე მიაღწია, შემდეგ მონაწილეობდა უკრაინის ფრონტზე, დიდხანს დაჰყო დონბასში, იქ მუშაობდა კიდეც, მეტიც, მოწინავე მეშახტედ ითვლებოდა. ომის დამთავრების შემდეგ შინ დაბრუნებული დიმიტრი ზადიშვილი აქტიურად ჩაება საკოლმურნეო შრომაში, წლების განმავლობაში თავკაცობდა ზადიანთკარის კოლმეურნეობას, ომისა და შრომის ვეტერანს მიღებული აქვს მრავალი სამთავრობო ჯილდო.

ალექსანდრე ბერიაშვილი

დიდ სამამულო ომში ალექსანდრე ბერიაშვილი 1943 წელს გაიწვიეს.

თელიანელი ალექსანდრე ბერიაშვილი იბრძოდა ქერჩში, სევასტოპოლის დაცვისას მძიმედ დაიჭრა, სამუდამოდ დაიზიანა ხელი, "ასკოლკის" ნამსხვრევები დღესაც ახსენებენ თავს. დღესაც ამაყია სამშობლოს ჯარისკაცი რომ იყო და გამარჯვებული დაბრუნდა ომიდან. ალექსანდრე ბერიაშვილი იბრძოდა აგრეთვე უნგრეთის განთავისუფლებისათვის, ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში.

ალექსანდრე ბერიაშვილს ომში გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, ორდენები და მედლები.



შალვა პაპინაშვილი

ომისა და შრომის ვეტერანი შალვა პაპინაშვილი დიდ სამამულო ომში 1943 წელს გაიწვიეს.

თელიანელი შალვა პაპინაშვილი იბრძოდა უკრაინაში, სევასტოპოლის მისადგომებთან გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი დიდხანს მკურნალობდა, გამოჯანმრთელების შემდეგ შვებულებით შინ გამოუშვეს.

სწორედ ამ პერიოდში მან დაოჯახებაც მოასწრო, თუმცა, მალევე გაემგზავრა ფრონტის წინა ხაზზე.

ომში გამოჩენილი თავდადებისათვის მიღებული აქვს ორდენები და მედლები.

შოთა ხატისკაცი

სამთავისელი შოთა ხატისკაცი /დაბადებულია 1923 წელს / 1942 წლის 14 მარტს წავიდა ომში. იბრძოდა 414-ე დივიზიის მზვერავთა ასეულში რიგითად, (მახაჩყალა, დერბენდი, ბუინისტი), შემდეგ გადაიყვანეს მოზდოკში, ანაპის სახელობის დივიზიაში, იბრძოდა ქერჩში, სევასტოპოლში, ფეოდოსიაში გენერალ ჯანჯღავას ხელმძღვანელობით. გამარჯვების დღემ, 9 მაისმა შოთა ხატისკაცს სევასტოპოლში მოუსწრო. ომიდან 1946 წელს დაბრუნდა შოთა ხატისკაცი, მსახურობდა ახალციხესა და ვალეს სასაზღვრო ჯარში, დემობილიზაციის შემდეგ მან მუშაობა დაიწყო კასპში თავდაცვის განყოფილებაში ავიაქიმიის თავმჯდომარედ, იქიდან წამოსვლის შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა კასპის კოლმეურნეობაში.

შოთა ხატისკაცი დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით, გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის მიღებული აქვს ორდენები, მედლები, ჯილდოები.

ახალი ისტორიის ჯვალდაჯვალ ...

ყოველ 9 აპრილს საქართველო იხსენებს ქვეყნის უახლესი ისტორიის გმირებს. ასეთი ხსოვნის საღამო გამართა რესპუბლიკური პარტიის კასპის ორგანიზაციამ საკუთარი ძალებით ქალაქის კულტურის ცენტრში.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ხათუნა თათანაშვილი (კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის კასპის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე), ხათუნა პარკაძე, მამუკა პაპაშვილი და ილია ბერიანიძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები: მანონ ირემაძე, ნოდარ ქურთაული, ტარიელ მიდელაშვილი, თაკო მუკნიაშვილი, მარი და ნინო გიგილაშვილები, ელენე ბიტარიშვილი, მანანა მჭედლიშვილი, ქეთევან მჭედლიშვილი, დარინა ჯანანაშვილი, გვანცა გერმისაშვილი, მარი ბაინდურაშვილი, სალომე ყრუაშვილი, ნანა მიდელაშვილი.

შეხვედრაზე თანმიმდევრულად გაიხსენეს ცხრა აპრილის გამომწვევი ისტორიული ფაქტები, ცხრა აპრილს დაღუპულები.

დამსწრე საზოგადოებამ აღიდგინა მეხსიერებაში, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყანაში გარდაქმნა (ანუ პერესტროიკა) გამოცხადდა. მის ერთერთ მთავარ გამოვლინებად იქცა ე.წ. საჯაროობის პოლიტიკა, რაც ცენზურის შესუსტებას და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას გულისხმობდა. გარდაქმნის პოლიტიკა იძულებითი ხასიათის იყო.

იმ დროისათვის საბჭოთა კავშირი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოში ნავთობზე ფასების ვარდნამ შემოსავლის მკვეთრი კლება გამოიწვია. ამას თან დაერთო ომი ავღანეთში, რომელიც სულ უფრო დიდ თანხებს ითხოვდა. ყველაზე დიდ პრობლემას კი ის უზარმაზარი თანხა წარმოადგენდა, რომელიც ცივი ომის პირობებში შეიარაღებაზე იხარჯებოდა.

შედეგად ქვეყანაში პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების დეფიციტი წარმოიშვა, შემოიღეს ტალონები შაქარზე, კარაქსა და ხორცზე. გარდაქმნის პოლიტიკის დაწყებამ ეროვნული საკითხის გამწვავება გამოიწვია. ეროვნული მოძრაობა განსაკუთრებით საქართველოსა და ბალტიისპირეთში გააქტიურდა, მათ მოლდოვა და აზერბაიჯანი შეუერთდნენ.

1989 წლისთვის ნათელი გახდა, რომ ვითარება კონტროლს პრაქტიკულად აღარ ექვემდებარებოდა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ ძალის გამოყენება სცადა.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიამ ქიმიური იარაღისა და სასანგრე ნიჩბების გამოყენებით დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები.

გიორგი რუსიშვილი



1943 წლის იანვარში გაიწვიეს ომში კასპელი გიორგი რუსიშვილი.

ომში წასვლამდე ქუთაისის სამხედრო-საწვრთნელ ბაზაზე მიიღო გამოცდილება.

იბრძოდა უკრაინაში, ხარკოვის მისადგომებთან თავგანწირვით ებრძოდა მტერს, საკუთარი თვალით აქვს ნანახი გერმანელების მიერ დაბომბილი ქალაქები, მიწასთან გასწორებული ხიდები და მნიშვნელოვანი ნაგებობები. გიორგი რუსიშვილმა 6 წელი გაატარა ფრონტზე, ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს მედლები და ორდენები, საპატიო სიგელები. ომის შემდეგ მან შრომაშიც გამოიჩინა თავი, ომისა და შრომის ვეტერანს რაიონის ბევრ სამრეწველო საწარმოში აქვს ნამუშევარი, აი, ახლაც იგი "კასპიელექტროაპარატის" დარაჯია და უღალატოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

გამოგვეხმაურეთ

ძვირფასო მკითხველო, ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ. თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ თუ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი".

საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ "ფენომენს" და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

მკითხველთა საყურადღებოდ!

უმორჩილესად ვთხოვთ 9 აპრილის მიტინგის (უშუალოდ დარბევის ღამის) მონაწილეებს მობრძანდნენ რედაქციაში (ან დარეკონ ტელ. 22 25 76), რომ დავუტოვოთ შთამომავლობას ისტორიული სინამდვილე მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

ნაბდისქუდიანების ომი და მშვიდობა

სოფელ მეტეხში გზირიშვილების გვარის შტოს წარმომადგენლებს "ასონაანთა" ეძახიან. ამ თიკუნის თავმდებია მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში მცხოვრები კაცი – იასონ გზირიშვილი (ქართლელთა ზეპირმეტყველებაში, როგორც წესი, ხმოვნით დაწყებულ სახელებში პირველი ბგერა წარმოთქმისთანავე ქრება ბაგეებთან – "იასონაანთი" – "ასონაანთი").

ქვემოთ მოგითხრობთ ამ კაცის მემკვიდრეების (ანუ – ასონაანთა) წილხვედრილი ომიანობისა და მშვიდობიანობის პერიოდებში ცხოვრების შესახებ:

✦ შინმოუსვლელი ილია გზირიშვილი ("ასონაანთა ილიკო")

მეტეხელი გლეხკაცის, იასონ გზირიშვილის, ერთ-ერთი ვაჟიშვილი – ილიკო გზირიშვილი – ძველჟამიანობის კვალობაზე, მამისეული ოჯახის შეძლება-გაქანების წყალობით, საკმაოდ ნაკითხი პიროვნება იყო. მის თანასოფლელებს გასარკვევ-გასაჩხრეკი და თავსატეხად გადაქცეული საკითხი თუკი აწუხებდა, რჩევას ყველა ილიკოს შესთხოვდა... ღონიერი, სავსე ოჯახის პატრონი 1937 წელს გააკულაკეს. ის გადაასახლეს რუსეთის შორეულ მხარეში, ქ. ტურუხოვსკში (ოჯახში სასოებით ინახავენ იქ სასწაულებრივად გადაღებულ, გამოგზავნილ და შემორჩენილ მის ერთ ფოტოს). ევროპაში ორიოდე წელში ტყვია გავარდა და ამდენივე ხანში გაჩაღებულმა დიდმა ომმა ლამის მთელი მსოფლიოს ქვეყნები ჩაითრია. ქართველი პატიმარი, როგორც არასანდო პერსონა, მისნაირ ბედკრულ ადამიანებთან ერთად, ფრონტის წინა ხაზზე გაამწესეს... სად აღარ მოუხდა ბრძოლა მარსის გამოისობით (თავისი ღმერთი ომსაც ჰყავს). ბოლოს იტალიაში მოხვდა პარტიზანულ რაზმში, რომელსაც იტალიელი ედო დელგრატო ხელმძღვანელობდა. ერთ ჯგუფში იყვნენ: ფორე მოსულიშვილი, შემდგომში იტალიის ეროვნული გმირი, ასევე, მიხეილ საყვარელიძე, შალვა კვირიკაშვილი, ილია გზირიშვილი, სიკო თათელაშვილი, იტალიელები ჯუზეპე, ანჟელინო, ვიგანო და სხვები... იტალიის ჩრდილოეთში, ქ. ბორგოსეზიაში, მოწყობილი მემორიალური კომპლექსის საძმო სასაფლაოზე ერთად განისვენებენ ქართველი და იტალიელი ვაჟკაცები.

✦ შალვა გზირიშვილი ("გადაბმული")

2007 წლის 20 მარტს მეტეხში გარდაიცვალა 94 წელს მიტანებული, უკვე თვალისჩინგამქრალი, ჯერაც წელშემართული ბერიკაცი – შალვა გზირიშვილი: სოფლის კოლორიტული ფიგურა, მთელ მეტეხსა და იქაურ მისახედ-მოსახედში განთქმული თამადა, ახალუხალთა თაობებამდე ქართველური სინდის-ნამუსის მომტანი, მრავალშვილიანი მამა, კაცურკაცად ნაცხოვრები პიროვნება, შინაურებსა თუ ახლობლებზე მზრუნველი და მათი მფარველი, შრომა-გარჯის ყადრის მცოდნე...

მაღალი კაცი იყო, ამისი თქმით ტანადობას დავუკნინებთ, გოჯსაზომს დავაკლებთ. უფრო მისადაგი და ზუსტი იქნება განზომილება: მაღალი – მაღალთა შორის! თანასოფლელებს ორი-სამი თავით აღემატებოდა, ერთით ზემოდან ყურებას ხომ წყალი არ გაუვიდოდა. მეტეხურ მტკვრისპირა ჭალებში ცადაწვდილ ალვებს ეტოლებოდა, თითქოსდა მაღალკოჭებიანი ცხენიდან გადმოჰყურებდა სხვებს. წელთა სიმრავლესა და ცხოვრებისეულ ჭირ-ვარამს ისე შექვითკირებოდა, როგორც გრძელი ხალა საუკუნოვანი კაკლის ხის ჯავშანკანადქცეულ ტოტებს...

შალვა გზირიშვილისათვის თანასოფლელებს "გადაბმული" შეურქმევიათ და, განა, ამ თიკუნს დამატებითი ახსნა-განმარტება ესაჭიროება?!

სინდის-ნამუსის განსახიერებაო, –ზემოთ ცუდუბრალოდა და გადამეტებით

როდი წამოგვცდა: თავზე განუშორებლივ ეხურ-ემოსა ნაბდის ქუდი!

საკუთარ ვენახში მკლავგარჯილობდა და – თავზე ნაბდის ქუდი ეფარა!

თანასოფლელების მხარდამხარ მამითადობდა თუ ჰოოპუნობდა და – ქოჩორს ნაბდის ქუდი უფარავდა!

თანაშეზრდილ კულაკამეჩს ეფერებოდა და სოფლად ჩამოვლილი ფოტოგრაფის ობიექტივს უმზერდა – თავს ნაბდის ქუდითაც იწონებდა.

ყველგან და ყოველთვის, დღენიადაგ, ნაბდის ქუდი ეხურა. კაიხანგამოშვებით კიდეც გააახლებდა. ეს უთუოდ მაშინ ხდებოდა, მტკვრის ჭალებში ნასუქ-ნაპატიები კულაკამეჩისეული რძის კარაქისაგან ვერგამორჩეული მაწვნის ქილებით დედაქალაქის დიდუბის ბაზარს რომ მოისტუმრიანებდა, ქალაქელებს ხელთ რომ დაუმშვენებდა მეტეხური მაწვნით... აი, მაშინ თუ მიაკითხავდა ხოლმე მეგობარ მექუდეს...

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების კასპის უბნების – ქეჩარუხისა და ვარჯაანის – მაცხოვრებლებსაც ხშირად უხილავთ და დღემდე ახსოვთ, ეს მეტეხელი ნაბდისქუდიანი მემაწვნე როგორ დაიარებოდა კვირაგამოშვებით და ხელს უმალ დაიცლიდა ხოლმე, თავისი ქებული მაწვნით მუდმივი კლიენტურა ხომ მადლიერი ურჩებოდა და ყოველ ახალ ჩამოვლაჯერზე სახვალიო დამკვეთებიც ემატებოდა...

აი, ცხოვრებისეული პარადოქსი: საკუთარი ნახელავის რეალიზებით, მშვიდობიანობის პერიოდში, თავს ირჩენდა და ოჯახს ინახავდა მეურნე კაცი, რომელიც, დიდომიანობის ჟამს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ებრძოდა მრისხანე მტერს, რომელსაც ერქვა "ფაშიზმი" და ემუქრებოდა სრულიად მსოფლიოს!

✦ "ასონაანთა შალიკო" – ომის გზებზე

ზემოთ რომ ვთქვით, - – ცხოვრების ჭირ-ვარამს შებრძოლებოდა, შექვითკირებოდა და გამაგრებოდაო, – მისხალი ფუჭსიტყვაობა არც ამაშია: მეორე მსოფლიო ომის გრძელსა და ცეცხლოვან გზებზე როგორღაც შეენარჩუნებინა გამჩენისაგან ერთხელ ნაჩუქარი სიცოცხლე; მძიმედ დაჭრილი სიკვდილის საცეც-მარწუხებს სასწაულებრივად გამოსხლტომოდა, ბოლოს და ბოლოს, საველე თუ ზურგის სამედიცინო-სანიტარული სამსახურის დასტაქრებს მოქმედი საჯარისო არმიისათვის არაქმედითუნარიანად უცვნიათ და... "ასონაანთა შალიკო" ომის გადაქუხებამდე დაბრუნებოდა მშობლიურ კერას მეტეხში...

✦ შალვა გზირიშვილი – მოჭიდავე

ყმაწვილობაშიცა და ჭაბუკობაშიც, ჯეილობასა და ასაკოვნობაშიც, როცა კი წელი მოსდევდა და ღონე ერჩოდა, შალვა ჭიდაობის დიდი ტრფიალი გახლდათ, თანაც, ცუდ-უბრალო მოჭიდავის სახელით კი არ უვლია, ძალიან სერიოზული ვინმე ეთქმოდა. ამის დასტურად და საილუსტრაციოდ რამდენიმე გვარს დავასახელებთ, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში ვისთანაც უჭიდავია: არსენ მეკოკიშვილი, დავით ციმაკურიძე... ამ უკანასკნელს დაჭიდებია თბილისის ძველ ცირკში: იმჟამად ნატახტარი-თბილისის სასმელი წყლის ქსელგაყვანილობის მშენებლობაზე მუშაობდა და მავან კაცებს დედაქალაქში საგანგებოდ წაუყვანიათ, – აგერ, იმ კაცს უნდა დაეჭიდოო, – უთქვამთ მისთვის. ცხადია, იგი ციმაკურიძეს არ იცნობდა და ისე შებმია, როგორც ჩვეულებრივ, რიგით, მორიგ, ძლიერ მეტოქეს... შებმია და უჯობნია... ჰო, საქმე ნამდვილად ასე იყო, აბა, უარეს შემთხვევაში, ჯილდოს სახით მეფურ პურმარილს რატომ გაუშლიდნენ, ანდა, მძიმე სამუშაოს შესრულებისაგან რატომ გაათავისუფლებდნენ?!

თბილისის ცირკშივე შეხვედრია (უკვე სხვა დროს) თავისივე ორმაგ სეხნიას და კასპელ-საგარეჯოელი დევგმირების ჭიდ(ილ)აობა დაზავებით გასრულებულა... ხშირად დამეტოქებია დუშელ შალვა ნათენაძეს... ბევრჯერ გამოსულა გორის ცირკის საჭიდაო არენაზე... თავისივე მხარის ვაჟკაცებიდან გულითადად მეგობრობდა ზემოხანდაკელ ლადო გოგიბედაშვილთან და გიორგი გოგიაშვილთან (ამ უკანასკნელთან ორჯერ უჭიდავია კიდეც). ესენი ერთნაირი ყალიბრისა და უზურის, ერთი თაობის, საერთო განზრახვისა და უპრიანად მქმნელი "ბიჭები" იყვნენ... კიდევ ერთი ზემოხანდაკელი, სახელგანთქმული მოჭიდავე, აკაკი მალაციძე, რომელსაც რამდენჯერმე უჭიდავია საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის ფინალში, იმჟამად შალვას სოფელში, მეტეხში, ახალგაზრდობას "ფიზკულტურას" ასწავლიდა და ერთმანეთს ყოველთვის ღვიძლი ძმებივით ეგებებოდნენ.

✦ კობა გზირიშვილი – პაპების ხსოვნის სულჩამბერი

მეტეხელი გზირიშვილების ასონაანთა შტოში ძლიერი კაცები დღესაც ქართველობენ, პაპისა და დიდი პაპის, შალვა და ილია გზირიშვილების, ხსოვნის სულჩამბერი და ღადარგამღვივებელია კობა გზირიშვილი – დღევანდელი ქართული არმიის მაიორი, ამჟამად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სამხედრო აკადემიის ოპერატიული სამსახურის ოფიცერი. ცხოვრების არსთა განმრიგემ მასაც არგუნა პირადი წილი ომჟამიანობის გადატანა – იგი აქტიური მონაწილეა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში წარმოებული საომარი კონფლიქტებისა, რაც მისი თაობის ქართველობას (როგორც მთლიანად ქართველ ერს) მამა-პაპისეული ტერიტორიების დაკარგვად დაუჯდა. მისი წინაპრები გამუდმებით იბრძოდნენ მშვიდობისათვის და არც თვითონაა გამონაკლისი. ასეთია იგი – ერთი ქართული გვარის პატარა განშტოების ბედისწერა! ასეთია იგი – ერთი რიგითი ქართველი (ამ შემთხვევაში სამხედრო წოდებას არ ვგულისხმობთ), რომლისთვისაც პაპისა და დიდი პაპის ცხოვრების პირადი მაგალითები გადაიქცა ყოველდღიური ყოფისა და მთელი სიცოცხლის წესად, ნორმად, სამიზნედ, ნამდვილ გაკვეთილებად... კობა გზირიშვილი პაპისეულ კარმიდამოზე ცხოვრობს სოფელში და ოჯახში დიდი სასოებითა და მოწიწებით ინახავს ყველა სურათსა თუ საგანს (მაგალითად, ღვინის 6-ლიტრიან დოქს), რაც პაპებისაგან შემორჩენია... მან კარგად იცის, რომ ქართველკაცობა ძნელია და, საერთოდ, ქართველობა მუდმივად ბრძოლას ეტოლფარდება!

ამირან ტალახაძე.

სურათებზე: შალვა გზირიშვილი (განუყრელი ნაბდის ქუდით) – კულაკამეჩთან; თანასოფლელებთან (მარჯვნიდან მეორე); მამითადში.

გილოცავთ!

დავით გიორგი სტეფნაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ძვირფასო, საყვარელო, საფიცარო გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, იღბალსა და წინსვლას. წარმატებული და იღბლიანი მომავალი გქონოდეს.

ოჯახი.

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხის სკოლის დირექტორს ქალბატონ მაია ბროლაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ჩვენო საყვარელო მაია, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გილოცავს დაბადების დღეს, გისურვებთ ჯამრთელობას და წარმატებებს. მრავალი მაისი აყვავდეს შენს ცხოვრებაში. იყავი ბედნიერი და გახარებული. ღმერთს ებარებოდე.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ცვლის უფროსი (კავთისხევის კირქვის კარიერი);
2. ზეინკალ-შემკეთებელი (კავთისხევის კირქვის კარიერი);
3. ელექტროშემკეთებლის სტაჟიორი;
4. მაღალი ძაბვის ქვესადგურის ოპერატორის სტაჟიორი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 16 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მსოფლიო ჩემპიონატი შოტოკან კარატეში

1, 2 და 3 მაისს თბილისში სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი შოტოკან კარატეში. ტურნირში 10 კასპელი კარატისტი მონაწილეობდა. მათგან წარმატებით იასპარეზა გივი ფსუტურმა (8-9 წწ. +40კგ. მწვრთნელი დავით დალაქიშვილი), რომელმაც 4 შეხვედრიდან 3 მოიგო, ერთი კი ფრედ დაამთავრა.

გივი ფსუტური მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია შოტოკან კარატეში. როგორც კასპის კარატისტთა გუნდ "ხვადი"-ს მწვრთნელმა დავით დალაქიშვილმა აღნიშნა ტურნირში მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 000 კარატისტი მონაწილეობდა, ამიტომ ეს მოგება ჩვენი გუნდისათვის მნიშვნელოვანია. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიულოცა კარატისტთა გუნდ "ხვად"-ს და გივი ფსუტურს წარმატება.

საჩუქრად სპორტული ფორმები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა კასპის საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებს საჩუქრად სპორტული ფორმები გადასცა. ჩვენი ვალია ვიზრუნოთ სპორტის განვითარებაზე. სწორედ ამ მიზნით, დიდი ძალისხმევის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ქალაქში რეაბილიტაცია უტარდება სპორტულ კომპლექსს. სამომავლოდ კი ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის ან ახლის გაკეთებას ვგეგმავთ. თქვენ კი სპორტულ მიღწევებს წარმატებული სწავლა უნდა შეუთავსოთ - ასე მიმართა ფეხბურთელებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, რომელმაც სპორტულ ფორმებთან ერთად, ფეხბურთის დიდი ქომაგის ვანო ჯახუას ავტორობით გამოცემული წიგნი "კასპის რაიონის საფეხბურთო ისტორია" გადასცა.

კასპში ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა 1987 წელს გაიხსნა, რომელსაც დღემდე სათავეში ავთანდილ ჯალალი უდგას. სკოლის 200 მოსწავლეს 10 მწვრთნელ-პედაგოგი ემსახურება. სკოლაში 10 ჯგუფია 8-დან 16 წლის ჩათვლით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ შიდა ქართლის და რესპუბლიკურ პირველობებზე. ამ სკოლის აღზრდილები, როგორც საქართველოს, ისე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში წარმატებით ასპარეზობდნენ და ტრადიციას დღესაც აგრძელებენ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

24-25 და 26 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნოდარ ბეკურაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა კასპის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის სპორტსმენებმაც მიიღეს და საპრიზო ადგილი დანიელ მარქარაშვილმა დაიკავა, მან 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი აიღო. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვეს.

სერბულ ნოვი სადში

17 აპრილს სერბულ ნოვი სადში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორის.

ტურნირში კასპის სახელით ჯაბა პაპინაშვილმა იჭიდავა და 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში II ადგილი დაიკავა, ის შესაბამისი ხარისხის დიპლომითა და მედლით დააჯილდოვეს.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76